

შალვა ხუფენია¹

პოლიტიკა და ინსტიტუციური ანალიზი ევროკავშირში რომის ხელშეკრულების შემდგომ: ისტორიული პერსპექტივა

ინგლისური ვერსიის შემოკლებული მიმოხილვა

აბსტრაქტი

ევროპის თანამეგობრობის პოლიტიკა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი გარდამავალი პროცესების განმავლობაში ნაწილობრივ ჩარჩოში მოქცევადა, თუმცა, უმეტესად, ის ახდენს თვითფორმულირებას. როგორც ყველა თანამედროვე პოლიტიკაში, ევროპის თანამეგობრობის პოლიტიკაზე გავლენას ახდენს წარმომადგენლობითობისა და ჩართულობის საკითხები, რესურსების დისტრიბუცია და პოლიტიკური და ადმინისტრაციული ეფექტიანობა. კვლევის განსავითარებლად, მოკლედ მიმოვიხილავთ ადრეულ ლიტერატურას ინსტიტუციებისა და პოლიტიკის შესახებ. ჩვენი არგუმენტი გულისხმობს, რომ ევროკავშირის კვლევის ფოკუსმა საერთაშორისო ურთიერთობების პარადიგმებიდან პოლიტიკის შექმნაზე გადაინაცვლა. ასევე ვამტკიცებთ, რომ შედარებითი პოლიტიკის მიდგომებმა ევროკავშირის ინსტიტუციებისა და პოლიტიკის კვლევაში თავი იჩინა, როგორც მთავარმა მიმართების ნერტილმა. პოლიტიკურ მიზნებსა და შედეგებს შორის არსებული კავშირის შესასწავლად, სტატიაში ხაზგასმულია „შედარებითი პოლიტიკის“ დისკურსი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტის ეს ნაწილი მოიცავს შესაბამისი მიდგომების ანალიზს, იგი, ასევე, განიხილავს შედარებითი პოლიტიკური მოდელების სამომავლო გამოყენებას ბოლო დროინდელი ევროკავშირის შესწავლის მიზნებისთვის. დასასრულს, სტატია წვლილს შეიტანს სახელმწიფოს როლის ცვლილების იმ მიზეზის გაგებაში, რომელიც მომდინარეობს ევროკავშირის განვითარებისა და სახელმწიფო-საზოგადოების ურთიერთობების ცვლილებისგან, ევროკავშირის მხრიდან ძალაუფლების ჰორიზონტალური და ვერტიკალური განაწილების კონტექსტში მის წევრ სახელმწიფოებზე ზეგავლენის გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: ინსტიტუციები, პოლიტიკა, ინტეგრაცია, ფედერალიზმი, ძალაუფლება, მოდელი, დემოკრატია, სისტემა.

სტატიის კვლევის საგანია, მოკლედ და აღწერილობით კონტექსტში შევაჯამოთ ის, თუ რა მნიშვნელოვანი წვლილი იქნა შეტანილი 1957 წლის რომის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ევროკავშირის ინსტიტუციურსა და პოლიტიკურ ანალიზში. 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, ევროპის თანამეგობრობა უმეტესად განიხილებოდა, როგორც “სუპრანაციონალური” ინტეგრაციის ან სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის მაგალითი დამოუკიდებელ „ერი - სახელმწიფოებს“ შორის. აქედან გამოინარე, მართებული იყო ის ფაქტი, რომ ევროპის თანამეგობრობის ტრადიციული კვლევისას გამოიყენებოდა საერთაშორისო ურთიერთობების სამუშაო ჩარჩო. თუმცა, რადგანაც ევროპის თანამეგობრობა დღეს იმაზე მეტია, ვიდრე საერთაშორისო ორგანიზაცია, საერთაშორისო ურთიერთობების ჩარჩოებში მოქცევა არასაკმარისია. მაგალითისთვის, საერთაშორისო ურთიერთობების გადმოსახედიდან, პოლიტიკური

¹ ეს სტატია წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტში ევროპისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დაცული დისერტაციის ერთ-ერთ თავს; ელ-ფოსტა: shalva.khuphe@hotmail.com

კონფლიქტები ევროპის თანამეგობრობაში მნიშვნელოვანი იყო ერთადერთი საზომით - მოქმედი მხარეები ემხრობოდნენ თუ კრძალავდნენ „სუპრანაციონალურ“ ინტეგრაციას. ევროპის თანამეგობრობის პოლიტიკური მახასიათებლების ზრდასთან ერთად ჩნდებოდა დამატებითი კონფლიქტი რესურსების გადანაწილებასა და დისტრიბუციასთან დაკავშირებით. ამ სოციო-ეკონომიკურ პრობლემაზე აღმოცენდა პოლიტიკური მტრობა, როგორც სრულად სხვა განზომილება, ანუ კლასიკური განმარტებით, პოზიციები იყო მემარცხენე, თუ მემარჯვენე.

სტატია დაყოფილია ოთხ მთავარ ნაწილად. პირველ ნაწილში განხილულია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებული ლიტერატურა. ამის შემდეგ, ხაზგასმულია ევროკავშირის პოლიტიკის ანალიზის მეთოდები. რაც შეეხება მესამე ნაწილს, ის მოიცავს შედეგების შესახებ მსჯელობას, ხოლო მეოთხე ნაწილში დისკუსიაა ზოგადი მიგნებების შესახებ.

ადრეული, ინსტიტუციებთან და პოლიტიკასთან დაკავშირებული თეორიული და ანალიტიკური ლიტერატურა იყო ინტეგრაციის თეორიის შედეგი. პოლიტიკის მეცნიერებასთან დაკავშირებული ურთიერთსაინანაღმდეგო მიდგომების მოწყობა იმდენად მრავალშრიანია, რამდენი მეთოდოლოგიაც არსებობს. მაგალითად, ბლონდელი განასხვავებს ქცევით, სტრუქტურულსა და ნორმატიულ კონტექსტებს (ბლონდელი, 1976); მარჩი და ოლსენი ერთმანეთისგან გამოყოფენ რედუქციონისტულ, უტილიტარიანულ, ინსტრუმენტულ, ფუნქციურ და კონტექსტურ მიდგომებს (ჯეიმს მარჩი, იოჰან ოლსენი, 1989). უფრო მეტა-თეორიულ საფეხურზე, ჩარლსვორთი გვიჩვენებს მიდგომებს შორის კონტრასტს, რაც განპირობებულია მათი მეთოდისა და მიზნით იდენტიფიცირებას შორის განსხვავებით (ჩარლსვორთი, 1967). აღმონდი მსჯელობდა მეთოდოლოგიური და იდეოლოგიური დაყოფიდან აღმოცენებულ ოთხ შრიან ტიპოლოგიაზე (ელმონდი, 1990). მიუხედავად ამისა, ჩარლსვორთისა და ელმონდის წინააღმდეგობას არ აქვს ზოგადი ხასიათი, რადგან განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომები ხშირად დაპირისპირებული იდეოლოგიებიდან ან საკვლევე ობიექტებიდან მოდის. მეტიც, ეს ტიპოლოგიები ხაზს არ უსვამს დისციპლინაში არსებული ბოლო დროინდელი დებატის საგნად გამხდარ პოლიტიკური მეცნიერებების მოდელების განსხვავებულ ონტოლოგიურ მოლოდინებს. შესაბამისად, კატეგორიზაცია უნდა აერთიანებდეს მეთოდოლოგიურ და ონტოლოგიურ განსხვავებებს.

თავდაპირველად ევროპის თანამეგობრობის შესახებ კვლევის განვითარება წარმართებოდა საერთაშორისო ურთიერთობების სამუშაო ჩარჩოში. ფედერალიზმი, ნეო-ფუნქციონალიზმი და ფუნქციონალიზმი იყო მთავარი ევროპული ინტეგრაციის თემატიკის ლიტერატურისთვის. ზოგი ავტორი კონცენტრირდებოდა ამ პარტნიორობის მიზიდველ პროდუქტზე, მაგალითად შეიძლება გამოვიყენოთ ფუნქციონალიზმი და ფედერალიზმი, მაშინ, როდესაც მკვლევართა სხვა ნაწილი ყურადღებას ამახვილებდა ახალი ტრანსნაციონალური პოლიტიკური ერთობის ფორმულირებისთვის საჭირო უკანა პლანზე არსებულ ვითარებებზე. მოგვიანებით ამ ყველა არგუმენტზე გავლენა იქონია ევროპული ინტეგრაციის პროცესების ანალიზისთვის საჭირო უფრო დახვეწილმა ნეო-ფუნქციონალისტურმა ექსპერიმენტებმა (ბულმერი, 2009).

1970-იანების განმავლობაში ევროპის თანამეგობრობის კვლევის დღის წესრიგი შეიცვალა. რეგიონალური ინტეგრაციის თეორიამ წარმოშვა ახალი ეჭვები. ამ ეჭვების თანახმად, პოლიტიკა და ინსტიტუციური ანალიზი ჩანდა უფრო ინოვაციური და წვლილი შექონდა შემდგომი განვითარების პროგნოზირებაში. ეს წვლილი აირეკლა შედარებითი პოლიტიკის მიდგომის ათვისებაში ევროპის თანამეგობრობასთან მიმართებით (ლინდბერგი, 2007).

უპირველესად, პლურალისტური და რეალისტური მიდგომების საშუალებით გამოყოფილია კონტრასტი ნაციონალურსა და „სუპრანაციონალურს“ შორის. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სოციოლოგიური მეთოდოლოგიები წარმოადგენს სოციო-ეკონომიკურ წინააღმდეგობებს, რომლებიც გვხვდება ყველა სამუშაო ჩარჩოში, ეკონომიკის მართვასთან დაკავშირებული პრობლემების გამო. მემარცხენე-მემარჯვენე განზომილება განვითარდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც უმთავრესი სოციო-ეკონომიკური პრობლემები გადაიჭრა ევროპულ დონეზე. ამგვარად, ეს ხაზს უსვამს იმ ინსტინქტურ არგუმენტებს, რომელთა თანახმადაც პარტიულ-პოლიტიკური დაყოფა ევროპულ დონეზე იარსებებს მხოლოდ საზოგადოების პოლიტიზაციის შედეგის სახით (ვალასი, 1979).

ამ ორ განზომილებას შორის ინტერაქცია, ასევე, დამოკიდებულია ევროპის თანამეგობრობაში არსებულ ინსტიტუციურ გარემოებებზე. შეზღუდვები ბუნებრივია „კოოპერაციულ ფედერალიზმსა“ და „კონსტიტუციონალიზმში“. „კონსტიტუციონალისტურ“ ჩარჩოში მთავარი საყრდენები თვალთახედვაში არ იღებს კლასობრივ დაყოფას მემარცხენე-მემარჯვენე დაპირისპირებაში (ლიჯჰარტი, 1979). მეტიც,

ელიტების დაფუძნების ინსტიტუცია ცდილობს „გადამჭრელი დაპირისპირების განვითარების კონტროლს და საყრდენების შინაგან შეთანხმებულობას“ (ლიჯჰარტი, 1979). მსგავსად, ფედერალიზმის ინსტიტუცია აკავებს იდეოლოგიური კონფლიქტების საფუძველს და ზღუდავს პარტიული სტრუქტურების განვითარებას (ჩემბერსი, 1975). ამ მოთხოვნათა მიუხედავად, მემარცხენე-მემარჯვენე პარტიების პოლიტიკური პოზიციები შესაძლოა იყოს ევროპის თანამეგობრობის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პოლიტიკის უკეთესი ინდიკატორები, ვიდრე ქვეყნების ეროვნული ინტერესები.

ევროკავშირის ინსტიტუციური განვითარების ნათელი საზომი იარაღია ძალაუფლების ვერტიკალური განვითარება ევროკავშირსა და წევრი სახელმწიფოების ცენტრალური მთავრობის დონეს შორის. ევროკავშირი ფლობს იმ ძალაუფლებას, რომელიც მას წევრმა სახელმწიფოებმა მიანიჭეს. შესაბამისად, საზომ იარაღად შეგვიძლია ავიღოთ ევროკავშირისთვის რამდენიმე წლით „მანდატით გადაცემული“ ძალაუფლება (მარკ პოლაკი და მოლი რულმანი, 2009). როგორც ევროკავშირის ძალაუფლების ცენტრალურ მთავრობებზე გავრცელების, ისე იმ „საჭირო და მართებული“ პირობების გაგება, რომლებიც ცენტრალურ მთავრობას აძლევს მისი მიზნების მიღწევის ძალაუფლებას (მარკ პოლაკი და მოლი რულმანი, 2009). მაგალითად, რომის ხელშეკრულების მე-100 მუხლი (ამჟამად, ცვლილებების შეტანის შემდეგ, 94-ე და 95-ე მუხლები) ევროპის თანამეგობრობას აძლევს ძალაუფლებას, მიიღოს ჰარმონიზებული რეგულაციები შიდა ბაზრის სწორი ფუნქციონირებისთვის და 235-ე მუხლმა (ამჟამად, ცვლილებების შეტანის შემდეგ, 308-ე მუხლი) შექმნა აქამდე არარსებული გავრცელების ქსელი, რითაც ნება დართო ევროკავშირის საბჭოს, აეთვისებინა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ძირეულ მიზნებთან დაკავშირებული პოლიტიკა.

ამ განვითარების შედეგები ევროკავშირში ძალების ვერტიკალურ განცალკევებასთან მიმართებაში არის შემდეგი: ერთი მხრივ, სხვადასხვა შეთანხმებები, ცვლილების თანახმად, შეადგენს ფედერალურ სისტემას, იმ შემთხვევაში, თუ ფედერალიზმში ვგულისხმობთ ინსტიტუციურ მოწყობას, სადაც:

- საჯარო ავტორიტეტი განაწილებულია სახელმწიფო და ცენტრალურ მთავრობებს შორის
- მთავრობას თითოეულ საფეხურზე აქვს გარკვეული საკითხები, რომლებთან დაკავშირებითაც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებებს
- უმაღლესი ფედერალური სასამართლო წყვეტს ფედერალიზმთან დაკავშირებულ დავებს (კელემენი, 2011)

მეორეს მხრივ, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სხვა ფედერალურ სისტემებთან შედარებით, ევროკავშირის ფედერალური ცენტრი სუსტია, ან „მისი ძლიერი მხარეები განსხვავდება იმ პრობლემურ სფეროებში, რომელთაც აქვთ ძლიერი კანონიერი კომპეტენცია და ძლიერი მარეგულირებლების არსებობა იმ ძირეულ არეალებში, როგორცაა შიდა ბაზარი და კონკურენციის პოლიტიკა და შედარებით სუსტი მაკოორდინირებელი როლი სხვა, ძირითადად იმ სფეროებში, რომლებიც ეხება თანამედროვე კეთილდღეობის მთავარ ფუნქციებს“ (მორაფიკი, 2001).

ევროკავშირი, ასევე, შესაძლებელია დახასიათდეს ძალაუფლების ჰორიზონტალური დაყოფით, სადაც ძალაუფლების სამი შტო გამოიყოფა. ესენია: აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო. ევროკავშირის შემთხვევაში, აღმასრულებელი ფუნქციები გაზიარებულია ევროკომისიის მიერ, რომელიც შედგება წევრი სახელმწიფოებისა და ევროპის მარეგულირებელი სააგენტოებისგან. საკანონმდებლო ფუნქციას იყოფს ევროკავშირის საბჭო და ევროპარლამენტი, რასაც გააჩნია დღის წესრიგის შემქმნელი როლი ევროკომისიისათვის. სასამართლო ფუნქციას ერთმანეთში ინაწილებს ევროკავშირის სასამართლო, პირველი ინსტანციის სასამართლო და ეროვნული სასამართლოების ფართო სპექტრი, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული ევროკავშირის სასამართლოსთან წინასწარი მიმართვის პროცედურით (ალტერი, 2009).

თავდაპირველად, რომის ხელშეკრულება აფუძნებდა არჩევნების განსხვავებულ წესებს. დროთა განმავლობაში მეცნიერთა ნაწილმა აღნიშნა, რომ ევროპის თანამეგობრობა და შემდეგ ევროკავშირი იქნდა „მზარდ საკანონმდებლო კომპეტენციას პრობლემური სფეროების მზარდ სპექტრში კანონების მისაღებად“ (ვალასი, 2013).

მსგავსი რამ შეიძლება ითქვას ევროპარლამენტის მონაწილეობაზე ევროკავშირის საკანონმდებლო პროცესში იმდენად, რამდენადაც შეთანხმების ცვლილებამ დიდი ეფექტი მოახდინა ევროპარლამენტის საკანონმდებლო როლზე. რომის ხელშეკრულების ორიგინალური ვერსია მოიცავდა მხოლოდ სამ საკანონმდებლო პროცედურას: „ევროკავშირის საბჭო მოქმედებს დამოუკიდებლად, ევროპარლამენტი ინ-

ფორმირებულია და საკონსულტაციო პროცედურა, რომელშიც ევროპარლამენტმა მიიღო კონსულტაცია გადანყვეტილების მიღების შესახებ“. შემდგომ ხელმონერილი შეთანხმებების თანახმად, ევროპარლამენტს „მიენიჭა უფლება, მიეცა თანხმობა, ან უარი ეთქვას ევროკავშირის საბჭოს მიერ ინიცირებულ კანონპროექტებზე: თანამშრომლობის პროცედურა, სადაც ევროპარლამენტს შეუძლია ისეთი ცვლილების შეთავაზება, რომლის მიღებაც უფრო მარტივია, ვიდრე უარყოფა“; და გადანყვეტილების ორმხრივი მიღების ორი ვერსია, სადაც ევროპარლამენტს მიენიჭა ევროკავშირის საბჭოს თანასწორობის სტატუსი (მოლი, 2006).

დროთა განმავლობაში მიმდინარე ცვლილებებს რომ მიეყვებოდა, ვნახავთ ევროკომისიის ფუნქციების ცვლილებას, რადგან რომის ხელშეკრულების თანახმად, კომისიას ჰქონდა „შეთანხმებებს მცველის“ ფუნქცია, თუმცა, აგრეთვე ითავსებდა კონკურენტული პოლიტიკის მარეგულირებლისა და ვაჭრობის საკითხში მომლაპარაკებლის როლს (მაკკონელი, 2017). ეს ძალაუფლება გაფართოვდა და მოიპოვა დამატებითი პასუხისმგებლობები ევროკავშირის ხარჯების რეგულაციების მენეჯმენტის სახით (მანფრედ ჰოლერი და ჰანუ ნურმი, 2013).

მსგავსი ცვლილებები შეეხო ევროპის სასამართლოს. რომის ხელშეკრულებაში სასამართლოს ენიჭებოდა „წევრი სახელმწიფოების სანინააღმდეგო მოქმედებების შესახებ მოსმენის უფლება, თანამეგობრობის მოქმედების, ან უმოქმედობის სამართლებრივი განხილვის უფლება, სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში არსებული ეროვნული სასამართლოებისგან მომავალი წინასწარი მიმართვის მიღების შესაძლებლობა“ (ჯოფრი რობერტსი, 2014). წლების განმავლობაში ეს უფლებები გაიზარდა. ეს ზრდა შესამჩნევია იმ ფაქტის გამოც, რომ მიენიჭათ წევრი სახელმწიფოების დაჯარიმების უფლება ევროკავშირის კანონმდებლობის მუდმივი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში და სხვა სასამართლოების (Secondary Courts) შექმნის უფლება ევროკავშირის კანონმდებლობაში განსახილველ საქმეთა რაოდენობის ზრდის გამო.

ჩვენ დავაკვირდით რომის ხელშეკრულების ხელმონერის შემდგომი პოლიტიკური და ინსტიტუციური განვითარების ხანგრძლივ ტენდენციებს. ინსტიტუციებს რაც შეეხება, შევნიშნეთ, რომ ძალაუფლების ვერტიკალური დაყოფისას ევროკავშირის ინსტიტუციები იძენენ მზარდ კომპეტენციას და ფედერალური სისტემის ნიშნებს. ძალების ჰორიზონტალურ გადანაწილებაზე დაკვირვებისას კი შევამჩნიეთ ევროკავშირის საკანონმდებლო ძალაუფლების აღზევება საკანონმდებლო კომპეტენციასთან ერთად, რაც დაკავშირებული იყო ევროპარლამენტის მზარდ საკანონმდებლო ძალაუფლებასთან. ასევე, აღვნიშნეთ ევროკავშირის სასამართლოს როლის თანდათანობითი ზრდა. თუმცა, ასევე ვნახეთ გარკვეული შეზღუდვები ევროკავშირის ინსტიტუციური განვითარების შიგნით, მათ შორის, ევროპარლამენტის არათანასწორი სტატუსი საკანონმდებლო პროცესში. საბოლოოდ, ვნახეთ ევროკავშირის საბჭოში კონსენსუსის პრობლემა დელიკატური გადანყვეტილებების დროს და ევროკომისიის პოზიციის შემცირება, კონკრეტულად, საკანონმდებლო პროცესში. შედეგი, რომელიც მივიღეთ, არის ევროკავშირის ინტეგრაციის პროცესის განგრძობითი დინამიურობა. ჩვენი დაკვირვება ევროკავშირს ხედავს პოლიტიკურ სისტემად, რომელშიც მემარცხენე-მემარჯვენე დაპირისპირებამ ჩაანაცვლა ადრეულ პერიოდში არსებული დაპირისპირების ინტეგრაციის განზომილება. ევროკავშირს აღვიქვამთ, როგორც შედარებით სტაბილურ პოლიტიკას, რომლის საბაზისო ინსტიტუციური სტრუქტურა შეიცვალა რომის ხელშეკრულებიდან მოყოლებული, თუმცა, მისი მარეგულირებელი პროცესები ჯერ კიდევ კარგადაა დაფუძნებული და მხოლოდ პოლიტიკური გამონწვევებისა და საჯარო პრეფერენციების შედეგად შეიძლება შეიცვალოს.

ევროპის თანამეგობრობა იყო რეგიონალურად საყრდენისებური სისტემა, რამეთუ ინდივიდუალური ჩართულობა და ლოიალურობა იყო „ერი-სახელმწიფოების“ პრინციპული ნაწილი. პირველი, ელიტები რჩებოდნენ საკუთარ საყრდენებში, რადგან ეროვნული მთავრობები აკონტროლებდნენ რესურსების დანაწილებას და აგრძელებდნენ იძულების მონოპოლიზებას ეროვნულ ტერიტორიაზე. მეორე, საზოგადოების შიგნით, მთავრობის მხრიდან ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნების სურვილი იყო რეგიონალურად საყრდენისებური ფედერალური სახელმწიფოების შიგნით სეგმენტური ავტონომიის თანასწორი (ლიჯვარტი, 1979). მესამე, პროპორციულობა გარანტირებული იყო მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლობითობის ჩარჩოში. მეოთხე, არსებობდა ვეტო, რომლის გამოყენების უფლებაც ჰქონდა წევრ სახელმწიფოს, იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე დაემუქრებოდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ეროვნულ ინტერესს. კოალიციის დიდი ნაწილი არსებობდა იმ კვალიფიციური უმრავლესობის დამსახურებით, რომელიც ხმას აძლევდა მინისტრთა საბჭოში.

ევროკავშირის პოლიტიკურმა სისტემამ განავითარა საკუთარი სუვერენიტეტი მისი შემადგენელი ნაწილების სუვერენიტეტის გადალახვის პერსპექტივით. ამჟამინდელი ურთიერთქმედება კოორდინი-

რეზულ ურთიერთდამოკიდებულებებსა და დიფუზიურ პოლიტიკურ ავტორიტეტს შორის მიანიშნებს, რომ ევროკავშირი არ არის სწორხაზოვანი პროცესის ნაწილი. როგორც პოლიტიკური, ისე ისტორიული თვალსაზრისით, ასეთი პროცესი მოიცავს დამოუკიდებელი სახელმწიფოების სისტემურ გადასვლას ნე-ბაყოფლობითი რეგიონალური ინტეგრაციის ყველაზე განვითარებულ სტრუქტურაში, სადაც „ერი-სახელმწიფოს“ არსებობის დასულება არ შეინიშნება.

რომის ხელშეკრულების მიერ ინიცირებული ინსტიტუციები და პოლიტიკა იყო განსაკუთრებული თავისი „სუპრანაციონალური“ ხასიათით, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობისათვის გარკვეული კომპეტენციისა და ძალაუფლების მინიჭების ჩათვლით. ეს პროცესი აღსანიშნავი იყო საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. მეტიც, ჩვენ გავხდით ყველა ამ ინსტიტუციის მნიშვნელოვანი განვითარების მონაწილე. ევროკავშირში ინსტიტუციური და პოლიტიკური ცვლილებები რომის ხელშეკრულების შემდეგ იყო ნამდვილი და შთამბეჭდავი. ზოგ შემთხვევაში განვითარება იყო გარდამავალი, სხვა შემთხვევებში კი ნევრი სახელმწიფოების გადანაცვლებების შედეგი.

ბიბლიოგრაფია:

- Almond, G. A. (1990). *A Discipline Divided: Schools and Sects in Political Sciences*. London : Sage Publications
- Alter, K. (2009). *The European Court's Political Power: Selected Essays*. Oxford: Oxford University Press
- Blondel, J. (1976). *Thinking Politically*. London : Wildwood House
- Bulmer, S. (2009). Institutional and Policy Analysis in the European Union. In D. P. Warleigh-Lack, *Reflections on European Integration* (p. 109). New York: Palgrave Macmillan
- Chambers. (1975). Party Development and the American Mainstream. In Burnham, *The American Party Systems: Stages of Political Development*
- Charlesworth, J. (1967). *Identifiable Approaches to the Study of Politics and Government*. New York: Free Press
- Deutsch, K. W. (2003). *Nationalism and Social Communication: An Inquiry Into the Foundations of Nationality*. London : Macmillan
- Geoffrey K. Roberts, J. L. (2014). *West European Politics Today*. Manchester: Manchester University Press
- Haas, E. B. (1958). *The Uniting of Europe: Political, Social and Economic Forces 1950-1957*. London: Stevens
- Immergut, E. (1998). The Theoretical Core of the New Institutionalism. *Politics and Society* , 5
- Kelemen, R. D. (2011). *Eurolegalism: The Transformation of Law and Regulation in the European Union*. Cambridge: Harvard University Press
- Liesbet Hooghe and Gary Marks. (2003). *Unraveling the central state, but how?: types of multi-level governance*. Vienna: Institut für Höhere Studien
- Lijhart. (1979). Religious vs. Linguistic vs. Class Voting: The Crucial Experiment of Comparing Belgium, Canada, South Africa and Switzerland. *American Political Science Review*
- Lijhart. (1979). The Politics of Accommodation Pluralism and Democracy in the Netherlands . *Berkeley*
- Lindberg, L. N. (2007). The Political Dynamics of European Economic Integration. In R. H. Ginsberg, *Demystifying The European Union* (p. 95). London : Rowman & Littlefield Publishers
- Lindberg, L. N. (2007). The Political Dynamics of European Economic Integration. In R. H. Ginsberg, *Demystifying The European Union* (p. 95). London: Rowman & Littlefield Publisher
- Manfred J. Holler and Hannu Nurmi. (2013). *Power, Voting, and Voting Power: 30 Years After* . Heidelberg: Springer
- March, James G. and Olsen, Johan P. (1989). *Rediscovering Institutions: The Organizational Basis of Politics*. New York: The Free Press
- Mark A. Pollack and Molly A. Ruhlman. (2009). The Heroic Age of European Integration is Over: Institutional and Policy Developments, 1957-2007. In D. P. Warleigh-Lack, *Reflections on European Integration* (p. 45). New York: Palgrave Macmillan
- McConnell, L. J. (2017). *Extracting Accountability from Non-State Actors in International Law*. New York: Routledge
- Molle, W. (2006). *Cohesion and Growth: The Theory and Practice of European Policy Making*. New York: Routledge

-
- Moravcsik, A. (1993). Preferences and Power in the European Community: A Liberal Intergovernmentalism Approach. *Journal of Common Market Studies*, 36
- Moravcsik, A. (2001). Federalism in the European Union: Rhetoric and Reality. In K. N. Howse, *The Federal Vision: Legitimacy and Levels of Governance in the United States and European Union* (p. 136). Oxford: Oxford University Press
- Nugent, N. (2006). *The European Union as an Integrative Power?* Brussels: Brussels University Press
- Pentland, C. (1973). *International Theory and European Integration*. New York: Free Press
- S. Steinmo, F. Longstreth, K. Thelen. (1992). *Structuring Politics: Historical Institutionalism in Comparative Analysis*. Cambridge: Cambridge University Press
- Wallace. (1979). Direct Elections and the Political Dynamics of the European Communities. *Journal of Common Market Studies*
- Wallace, W. (2013). Theory and practice in European Integration. In S. B. Scott, *Economic and Political Integration in Europe: Internal Dynamics and Global Context* (p. 236). Oxford: Basil Blackwell
- William, J. (2000). *Lyotard: Towards a Postmodern Philosophy*. Cambridge: Polity